UGT
იუ-ჯი-თი

25 აპრილი 2012 წ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
გენერალურ დირექტორს
ქალბატონ ნატო ავალიანს

ქალბატონო ნატო,

მოგეხსენებათ, მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის IT მოწყობილობების მიწოდების შესახებ, გაიმარჯვა ჩვენმა კომპანიამ (UGT). (გამარჯვების შესახებ წერილის ნომერი: KA030610773637712; 06 აპრილი 2012 წ.)

სამწუხაროდ, რომ ჩვენს მიერ დაკვეთილი მოწყობილობებიდან გარკვეული ნაწილის წარმოება (კერძოდ კი გაგრილების სისტემა) ფერხდება დროში, რის გამოც მათი მოწოდება მოხდება დაგვიანებით. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მსოფლიო ბანკის პროექტი იხურება ივნისის ბოლოს, ხოლო ზემოთაღნიშნული შეფერხების გამო ამ ვადაში ჩვენ ვერ ვასწრებთ კონტრაქტით გათვალისწინებული სისტემის სრულად მოწოდებას, გთავაზობთ ჩავანაცვლოთ გაპრობლემებული პროდუქტები იგივე ფუნქციონალობის მქონე სხვა პროდუქტებით, რომელთა წარმოება და ტრანსპორტირება მოსწრებადია პროექტის დახურვამდე.

უფრო კონკრეტულად კი, კონტრაქტით გათვალისწინებული Rittal-ის წარმოების 24kW სიმძლავრის მქონე ორკონტურიანი გაგრილების სისტემა LCP T3+ ჩავანაცვლოთ იმავე მწარმოებლის 2 ცალი ერთ კონტურიანი გაგრილების სისტემით LCP Plus, რომელთაგანაც თითოეული იძლევა 28kW-ის სასარგებლო გაგრილების შესაძლებლობას. გარდა იმისა რომ ეს შემოთავაზებული სისტემა უფრო მძლავრია, მისი გამოყენება შესაძლებელია ორმაგ რეჟიმში (როგორც სარეზერვოთ, ასევე ძირითად გაგრილების მოდულად), რაც სამინისტროს დამატებითი მოქნილობის შესაძლებლობას აძლევს.

შემოთავაზებული მოდელის ჩანაცვლების შემთხვევაში, გაგრილების სისტემის სრულყოფილად მუშაობისათვის, LCP მოდულთან ერთად ჩასანაცვლებელი იქნება მისი აქსესუარები და სამონტაჟო კარადაც. განახლებული ჩამონათვალი მოსაწოდებელი კომპონენტებისა დანართის სახით ერთვის ამ წერილს.

ამ ცვლილების შედეგად მიღებული სისტემის ჯამური ღირებულება არ ჩამოუვარდება ჩვენი კონტრაქტით გათვალისწინებული სისტემის ღირებულებას და მისი მოწოდება შესაძლებელია მსოფლიო ბანკის პროექტის დახურვამდე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გთხოვთ ჩვენს შორის კონტრაქტში საერთო ფასის უცვლელად შევიტანოთ ზემოთაღნიშნული ცვლილებები.

პატივისცემით,

გიორგი მაისურაძე
დირექტორი, იუ-ჯი-თი

ს.ს.ს.ტ. „საქართველოს
საინვესტიციო დაბანკო
ინვესტიციისა და საწარმოთაშორისი
ურთიერთობების ეროვნული
ცენტრი"
№ 01/20-1269
„26" 04 2012
1+1 ფურცელი

LOT 1

Item #	Item Name	Specifications
1	Server Enclosure	High Performance Cooling Rack (2 Units)
		DK TS Sidewall pluggable (2 Unit)
		CMC BUSBAR WITH SUPPLY MODULE (2 Units)
		Busbar fixing kit (2 Units)
		Power system module connector 1phase (4 Units)
		Plugin Modules 6way C13 (10 Units)
		PSM plug-in module IEC320 (4 Units)
		TS Baying Connector (3 Units)
		DK Blanking Panel pk. of 10 1U (2 Units)
		DK Blanking Panel pk. of 2 3U (10 Units)
		Gland plate modules (7 Units)
2	Liquid Cooling System	LCP plus 30, 300x2000x120 (4 Units)
		Fan module for LCP plus 3 (8 Units)
		LCP Display, next Generator (4 Units)
		LCP water connection kit (4 Units)
		Rifrost Outdoor 200L (1 Units)
		SK vertical shielding (5 Units)
		SK IT Chiller 35.5kw WHD (1 Units)
3	Fire Detection and Distinguishing System	DET-AC Plus Extinguishing unit (1 Units)
		DET-AC Plus Slave extinguishing unit (1 Units)
		CMC-TC access sensor (2 Units)
		Depth-variable slide for DET-AC (2 Units)
		Pipe Kit for DET-AC Plus and EFD Plus (2 Units)